



Метод обучающего чтения  
ИЛЫИ ФРАНКА

ნოდარ დუმბაძე

მე, ბებია, ილიკო  
და ილარიონი

---

Грузинский  
с Нодаром Думбадзе

Я, БАБУШКА, ИЛИКО  
И ИЛЛАРИОН

*Пособие подготовили Георгий Ефимов,  
Лери Хомасуридзе, Серафима Гаан  
под общей редакцией Георгия Ефимова*

**ВКН**

Москва

2023

## Предисловие переводчика

Нодар Думбадзе — это имя знакомо любому, кто хоть немного интересуется грузинской литературой. Его книгами до сих пор зачитываются дети и взрослые, коренные грузины и жители других стран.

Когда я выбирал новую книгу для перевода, я уже точно знал, что это должно быть одно из произведений Нодара Владимировича.

Юмор, гениальные диалоги, простая деревенская жизнь с ее радостями и невзгодами, а также бесконечная любовь бабушки и внука определили выбор и конкретного произведения.

Книга написана в определённом стиле, с использованием большого количества простонародных / деревенских / диалектных и устаревших слов, что отражается, как правило, в их нарочито неверном написании (თვარს / თუ არს; გვოგო / გავოგო; მუ / მუბ). В грузинском тексте все эти слова оставлены как есть, без изменений, но на русский переведены верно, так, как должно.

Действие происходит в промежуток времени с 1942 по ориентировочно 1952 год, на тот момент употребление слов, которые в настоящее время практически ушли из разговорной речи, было нормальным.

В книге представлены гурийский и частично имеретинский диалекты. Некоторые специфичные слова отмечены как диалектные.

---

В тексте много юмора, так как исходно книга написана в сатирическом стиле с элементами драмы. Также следует понимать, что обилие разнообразных ругательных слов и выражений, которыми друг друга обзывают персонажи, призвано скорее подчеркнуть глубину и искренность отношений между ними, а не просто оскорбить или обидеть.

От всей души благодарю вдову писателя Нанули Петровну Думбадзе, а также его дочь Кетеван Думбадзе за решение сделать учебный перевод и издать данную книгу.

Посвящается любимой тете *Ирине Хуцишвили*.

*Георгий Ефимов*

## Грузинский алфавит

ა	А	ბ	С
ბ	Б	გ	Т
გ	Г	დ	У
დ	Д	ე	П'
ე	Э	ვ	К'
ვ	В	ზ	Г'
ზ	З	თ	Q
თ	Т'	ი	Ш
ი	И	ქ	Ч
ქ	К	ღ	Ц
ღ	Л	ყ	Дз
ყ	М	შ	Ц'
შ	Н	ჩ	Ч'
ჩ	О	ც	Х
ც	П	ძ	Дж
ძ	Ж	წ	Х'
წ	Р		

## Правила произношения

ʒ — К, ʒ — П, ʈ — Т — произносятся как русские, но более резко, без выдоха.

ʃ — К', ʈ — Т', ʒ — П' — произносятся с сильным придыханием.

ʁ — Г' — произносится как украинское Г.

ɣ — Q — сильно горланное К. Похожий звук образуется при полоскании горла без голоса.

ð — буква передает звук Дз.

ʒ — буква передает звук Дж.

ʒ — Х' — произносится с легким придыханием, наиболее близка к немецкому Х.

ʃ — Ч' — произносится с резким призвуком за счет отталкивания языка от передней поверхности верхнего неба.

ʃ — Ц' — произносится с резким призвуком за счет отталкивания языка от границы верхнего неба и задней поверхности резцов.

ɣ — произносится как Э.

## მე, ბებია, ილიკო და ილარიონი

(Я, бабушка, Илико и Илларион)

ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის (моей деревни справа Губазоули протекает), მარცხნივ — ლაშის დელე (слева — Лаше речушка), რომელიც სავსეა კიბორჩხალებით (которая полна /есть/ крабами), ღორჯოებით (бычками) და შარვალაკაპიწებულ ბიჭებით (и брюкозасученными /литер.: босоногими/ мальчиками; შარვალი — брюки; აკაპიწებული — засученный). გუბაზოულზე ხიდია გადებული (на Губазоули мост /есть/ проложен), რომელსაც ბოგას ეძახიან (который Бога называют). ყოველ გაზაფხულზე (каждой весной) მოვარდნილ წყალს მიაქვს ხიდი (нахлынувшая вода уносит мост) და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვრჩება (и нам лишь моста голова остается; თავი — голова; верхушка). მიუხედავად ამისა (несмотря на это), ჩემი სოფელი მაინც (моя деревня все равно) ყველაზე ლამაზი (всех красивей) და მხიარული სოფელია გურიაში (и веселей деревня /есть/ в Гурии), მე იგი ყველა სოფელზე უფრო (я ее всех деревень больше) მიყვარს ამქვეყნად (люблю на этом свете), რადგან არ შეიძლება სხვაგან

იყოს სოფელი (ибо не может в другом месте быть деревни), რომელშიც ვცხოვრობდე მე (в которой жил /бы/ я), ჩემი ბებია, ილარიონი, ილიკო (моя бабушка, Илларион, Илико) და ჩემი ძალი მურადა (и моя собака Мурада).



ჩემს სოფელს მარჯვნივ გუბაზოული ჩაუდის, მარცხნივ — ლაშის ღელე, რომელიც სავსეა კიბორჩხალებით, ღორჯოებით და შარვა-ლაკაპიწებული ბიჭებით. გუბაზოულზე ხიდია გადებული, რომელსაც ბოგას ეძახიან. ყოველ გაზაფხულზე მოვარდნილ წყალს მიაქვს ხიდი და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვრჩება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მხიარული სოფელია გურიაში, მე იგი ყველა სოფელზე უფრო მიყვარს ამქვეყნად, რადგან არ შეიძლება სხვაგან იყოს სოფელი, რომელშიც ვცხოვრობდე მე, ჩემი ბებია, ილარიონი, ილიკო და ჩემი ძალი მურადა.

ბებიაჩემი ბრძენი ქალია (моя бабушка мудрая женщина /есть/), ის მუდამ ასე მეუბნება (она вечно так говорит /мне/):

— ისწავლე, შე სასიკვდილე (учись, ты негодяй /предназначенный для смерти/), თორემ უსწავლელი დარჩები (а то неучем останешься).

მეცნიერებაზე ბებიას (о науке бабушка) თავისებური წარმოდგენა აქვს (своеобразное представление имеет). ერთხელ, როდესაც აივანზე ვიჯექი (однажды, когда на балконе сидел /я/) და ხმამაღლა

ვიზეპირებდი (и громко зубрил) ქართული გრამატიკის ნორმებს (грузинской грамматики нормы), ბებია, სხვათა შორის, მკითხა (бабушка между прочим спросила /меня/):



ბებიაჩემი ბრძენი ქალია, ის მუდამ ასე მეუბნება: “ისწავლე, შე სასიკვდილზე, თორემ უსწავლელი დარჩები”. მეცნიერებაზე ბებიას თავისებური წარმოდგენა აქვს. ერთხელ, როდესაც აივანზე ვიჯექი და ხმამაღლა ვიზეპირებდი ქართული გრამატიკის ნორმებს, ბებია, სხვათა შორის, მკითხა:

— რასაა, რომ იზუთხავ, შვილო (что /есть/, что зубришь, дитя)?

— ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია (глагола лица учу, бабушка).

— ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო (глагола лицо кто слышал, мальчик)? პირიანი კაცი ვიცი მე (со ртом человека знаю я; პირი — рот; грамм. лицо; личность; далее мальчик использует это слово в значении грамм. лица, а бабушка — рта).

— ეს სხვა პირია, ბებია (это другое лицо /есть/, бабушка), შენ რომ გგონია, ის არ არის (ты что думаешь, то не есть).

— პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე (рот один /есть/, парень, на земле).

— კარგი, აბა, მითხარი, რა არის პირი (хорошо, ну-ка, скажи /мне/, что есть лицо)? — ვკითხე ბებიას (спросил /я/ бабушку) და წიგნი დავხურე (и книгу закрыл).



— პირი რა არის და... პირი პირია (рот что есть и... рот /это/ рот /есть/).

— დაჯექი, ბებია, გაკვეთილი არ იცი (садись, бабушка, урока не знаешь), — ორს გიწერ (двойку пишу /тебе/)!



— რასაა, რომ იზუთხავ, შვილო?

— ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.

— ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანი კაცი ვიცი მე.

— ეს სხვა პირია, ბებია, შენ რომ გგონია, ის არ არის.

— პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე.

— კარგი, აბა, მითხარი, რა არის პირი? — ვკითხე ბებიას და წიგნი დავხურე.

— პირი რა არის და... პირი პირია.

— დაჯექი, ბებია, გაკვეთილი არ იცი, — ორს გიწერ!

— ორს მოგცემ მე შენ, შე კუდიანო (двойку дам я тебе, ты проказник), ახლავე წადი და თხა გადააბი (сейчас же иди и козу перевяжи), თორემ იმდენს გირტყამ (а то столько побью /тебя/), რუმბივით გაგიხდი ცხვირ-პირს (как ромб сделаю /тебе/ нос-рот)!

— აბა, ერთს კიდევ გკითხავ (ну-ка, одно еще спрошу /тебя/) და მერე წავალ (и потом пойду), რამდენი პირი არსებობს (сколько лиц существует)?

— პირი იმდენი არსებობს (ртов столько бывает), რამდენიც კაცი დაიარება ამ ქვეყანაზე (сколько че-

ლოვეკ ხოდით ნა ეთოი ზემლე), და პირი იმიტომ არსებობს (и рот для того существует), რომ ენა დაატოს კაცმა შიგ (чтобы язык поместил человек внутри), გეყურება (слышишь /ты/)? პირი ზოგს პატარა აქვს (рот некоторые маленький имеют), ზოგს დიდი (некоторые большой); დიდი პირი ვისაც აქვს (большой рот кто имеет), იმას ლაფშიანს ეძახიან (того размазней называют). არსებობს კიდევ უცხვირპირო ხალხი (существуют еще неприветливые /безликие/ люди), მაგალითად, შენ (например, ты).



— ორს მოგცემ მე შენ, შე კუდიანო, ახლავე წადი და თხა გადააბი, თორემ იმდენს გირტყამ, რუმბივით გაგიხდი ცხვირ-პირს!

— აბა, ერთს კიდევ გკითხავ და მერე წავალ, რამდენი პირი არსებობს?

— პირი იმდენი არსებობს, რამდენიც კაცი დაიარება ამქვეყანაზე და პირი იმიტომ არსებობს, რომ ენა დაატოს კაცმა შიგ, გეყურება? პირი ზოგს პატარა აქვს, ზოგს დიდი; დიდი პირი ვისაც აქვს, იმას ლაფშიანს ეძახიან. არსებობს კიდევ უცხვირპირო ხალხი, მაგალითად, შენ.

— პირშავი ხალხიც არსებობს (бессовестные люди /тоже/ существуют; პირშავი = პირი — *лицо* + შავი — *черный*), — ვთქვი მე (сказал я).

— მართალი ხარ (прав /есть/ ты). ჩვენი ფოსტალიონი (наш почтальон), მაგალითად (например), პირშავია (бессовестный /есть/), კონვერტებს მარკებს აძრობს (конвертам марки отдирает) და მერე მეუბნება

(ა შემდეგ იტყვით /მე/), უმარკო იყო, მანეთი მომეციო (без марки был, рубль дай /мол/).

— მე როგორი ვარ, ბებია (я какой есть, бабушка)?

— შენ (ты)? პირზე მიწადასაყრელი (на лицо землю тебе насыпать надо; მიწა — земля, დაყრა — сыпать), ამოუპირავი და ღვთის პირიდან გადავარდნილი (безликий и от лица Божьего отпавший; გადავარდნილი — отвалившийся). შენს პირში ჩემი მტერი ჩავარდა (да станет мой враг жертвой твоего языка /в твой рот мой враг упал/).



— პირშავი ხალხიც არსებობს, — ვთქვი მე.

— მართალი ხარ. ჩვენი ფოსტალიონი, მაგალითად, პირშავია, კონვერტებს მარკებს აძრობს და მერე მეუბნება, უმარკო იყო, მანეთი მომეციო.

— მე როგორი ვარ, ბებია?

— შენ? პირზე მიწადასაყრელი, ამოუპირავი და ღვთის პირიდან გადავარდნილი. შენს პირში ჩემი მტერი ჩავარდა.

არ არსებობს ქალი გურიანში (не существует женщины в Гурии), რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს (которая лучше проклинать бы могла), ვიდრე ჩემს ბებიას (чем моя бабушка), მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია (но я ее проклятия не боюсь), რადგან ერთხელ წამოცდა (ибо однажды /она/ проговорила): ნუ გეშინია, ბებია (не бойся /ты/, бабушка; детей часто в Грузии ласково называют мамочка, бабушка), როდესაც გწყევლი (когда я /тебя/ проклинаю), ჩემი

**ძუძუები გლოცავენო** (мои груди /тебя/ благословляют, /мол/; *имеется в виду, что сердце благословляет*).



არ არსებობს ქალი გურიაში, რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს, ვიდრე ჩემს ბებიას, მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია, რადგან ერთხელ წამოცდა: ნუ გეშინია, ბებია, როდესაც გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო.

**გარდა ზემოაღნიშნულისა** (кроме вышеуказанного; *ზემო — выше; აღნიშნული — упомянутое*), ჩემი ბებია ეჭვის თვალთ უყურებს (моя бабушка сомнениями глазом смотрит /отрицательно относится/) განათლების კომისარიატის უსულგულო გადაწყვეტილებას (на образования комиссариата бездушно-бессердечное решение) იმის შესახებ (о том), რომ ბავშვებს ყოველ დღე (что дети каждый день) ექვს-ექვსი გაკვეთილი გვაქვს (шесть-шесть /по шесть/ уроков имеем), თუმცა მე ამის საბაბს ბებიას (хотя я этого повод бабушке) არასოდეს არ ვაძლევ (никогда не даю). ჩემი მეცადინეობა (мое занятие), ყოველდღე (каждый день), დიდი-დიდი (много-много), ოთხ გაკვეთილამდე გრძელდება (до четырех уроков длится). მეოთხე გაკვეთილზე მე ვკარგავ (на четвертом уроке я теряю) დროისა და ზომიერების (времени и умеренности) შეგრძნების უნარს (восприятия способность) და ზომაზე მეტად ხმამაღლა (и сверх меры громко) ვეკითხები ჩემს მეზობელს (спрашиваю своего соседа):



გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩემი ბებია ეჭვის თვალთ უყურებს განათლების კომისარიატის

უსულგულო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ბავშვებს ყოველდღე ექვს-ექვსი გაკვეთილი გვაქვს, თუმცა მე ამის საბაბს ბებიას არასოდეს არ ვაძლევ. ჩემი მეცადინეობა, ყოველდღე, დიდი-დიდი, ოთხ გაკვეთილამდე გრძელდება. მეოთხე გაკვეთილზე მე ვკარგავ დროისა და ზომიერების შეგრძნების უნარს და ზომიერზე მეტად ხმამაღლა ვეკითხები ჩემს მეზობელს:

— რომულის ვენაცვალე, რომ არ ირეკება (Ромули, генацвале, что не звонится), ზარი მოიშალა ნეტავ, თუ დარაჯი (звонок испортился, или сторож)? რომული იკრიჭება (Ромули скалится), მასწავლებელი კი იშვერს ჩემსკენ თითს (учитель же показывает на меня пальцем) (თითით საჩვენებელი მოწაფე ვარ) (пальцем показательный ученик я /есть/) და ალერსიანად მეუბნება (и ласково говорит /мне/): ახლავე აეთრიე (сейчас же поднимайся; *აეთრიე* — *вставай, грубое выражение*), გარეთ გაეთრიე (на улице выматывайся) და, სანამ მშობელს არ მოიყვან (и, пока родителя не приведешь), სკოლაში არ მოეთრიო (в школу не приматывайся)!

მე არ ვეკითხები მასწავლებელს (я не спрашиваю учителя) — “რატომ (почему)”, რადგან ასეთი დისკუსიის შემდეგ (потому что такой дискуссии после) კამათში ცარცი და სახაზავი ერევა (в спор мел и линейка вмешиваются). უხმოდ ვიღებ ქუდს და გავდივარ (безмолвно беру шапку и выхожу).



— რომულის ვენაცვალე, რომ არ ირეკება, ზარი მოიშალა ნეტავ, თუ დარაჯი? რომული იკრიჭება,

მასწავლებელი კი იშვერს ჩემსკენ თითს (თითით საჩვენებელი მოწაფე ვარ) და ალერსიანად მეუბნება: “ახლავე აეთრიე, გარეთ გაეთრიე და, სანამ მშობელს არ მოიყვან, სკოლაში არ მოეთრიო!” მე არ ვეკითხები მასწავლებელს — “რატომ”, რადგან ასეთი დისკუსიის შემდეგ კამათში ცარცი და სახაზავი ერევა. უხმოდ ვიღებ ქუდს და გავდივარ.

— ნახვამდის (до свидания)! — ვეუბნები რომულის (говорю /я/ Ромули).

— ნახვამდის (до свидания)! — მეუბნება რომული და ხელს მიქნევს (говорит /мне/ Ромули и рукой машет /мне/).

მეორე დღეს (на второй день) ბებია მიმყავს სკოლაში (бабушку веду в школу), მერე ბებიას მივყავარ სახლში (потом бабушка ведет /меня/ домой), მერე ისევ ბებია მომყავს სკოლაში (потом опять бабушку веду в школу) და ასე შემდეგ (и так далее). თამამად შეიძლება ითქვას (смело можно сказать), რომ მე და ბებია ერთად (что я и бабушка вместе) ვამთავრებთ ათწლედს (заканчиваем десятилетку). ვფიქრობ, ეს ერთადერთი შემთხვევაა (думаю, это единственный случай /есть/) კაცობრიობის ისტორიაში (в человечества истории).



— ნახვამდის! — ვეუბნები რომულის.

— ნახვამდის! — მეუბნება რომული და ხელს მიქნევს.

მეორე დღეს ბებია მიმყავს სკოლაში, მერე ბებიას მივყავარ სახლში, მერე ისევ ბებია მომყავს

სკოლაში და ასე შემდეგ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე და ბებია ერთად ვამთავრებთ ათწლედს. ვფიქრობ, ეს ერთადერთი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში.

**მე რა (я что)? მე ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭი ვარ (я обычный деревенский парень есть), წიგნების ჩანთაში ხილი (в книжной сумке фрукты), შურდული და ფიშტო მიწყვია (рогатка и пистолет /пугач/ уложены /у меня/). დაზამთრებამდე (до /наступления/ зимы) სკოლაში ფეხშიშველი დავდივარ (в школу босоногий хожу; ფეხი — нога; შიშველი — голый). მაქვს ერთი შარვალი (имею одни брюки) და ყოველ წელს (и каждый год) ორი საშემოდგომო გამოცდა (два осенних экзамена /переекзаменовка/). რადგან ჩემი ძაღლი, მურადა, სულ თან დამყვება (поскольку моя собака, Мурада, всё за мной ходит), სოფელში სულძაღლიანს მეძახიან (в деревне вечнособачником /меня/ называют; სულ — все время; ძაღლიანი — собачный, или же სულძაღლიანი — собачья душа, ругательство; სული — душа; ძაღლიანი — собачий), სკოლაში — ყალთაბანდს (в школе плутом), ხოლო ბებია კუდიანს მეძახის (бабушка же проказником зовет /меня/). ჩემი ნამდვილი სახელი ზურიკოა (мое настоящее имя Зурико /есть/).**



მე რა? მე ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭი ვარ, წიგნების ჩანთაში ხილი, შურდული და ფიშტო მიწყვია. დაზამთრებამდე სკოლაში ფეხშიშველი დავდივარ. მაქვს ერთი შარვალი და ყოველ

წელს ორი საშემოდგომო გამოცდა. რადგან ჩემი ძაღლი, მურადა, სულ თან დამყვება, სოფელში სულძაღლიანს მეძახიან, სკოლაში — ყალთაბანდს, ბოლო ბებია კუდიანს მეძახის. ჩემი ნამდვილი სახელი ზურიკია.

**როდესაც ბებიას ვაბრაზებ** (когда бабушку злю), **იმ ღამით საწნახელში მძინავს** (той ночью в давяльне /для винограда/ сплю), **როდესაც ვურიგდები, ერთად გვძინავს** (когда мирюсь /с ней/ — вместе спим /мы/). **დღისით ბებია მწყევლის** (днем бабушка проклинает /меня/) **და ზურგს უკან** (и за спиною) **ამოფარებული წკეპლით მეპარება** (со спрятанной плеткой подкрадывается /ко мне/). **ღამით ფეხებს მბანს** (ночью ноги моет /мне/) **და დაძინებულს მკერდზე მკოცნის** (и спящего в грудь целует /меня/).



როდესაც ბებიას ვაბრაზებ, იმ ღამით საწნახელში მძინავს, როდესაც ვურიგდები, ერთად გვძინავს. დღისით ბებია მწყევლის და ზურგს უკან ამოფარებული წკეპლით მეპარება. ღამით ფეხებს მბანს და დაძინებულს მკერდზე მკოცნის.

**სკოლაში როგორი ვარ?** (в школе какой есть /я/) **სკოლაში ჩემი ქცევის შესახებ** (в школе мое поведение про) **არსებობს დოკუმენტი** (существует документ) — **“პედსაბჭოს სხდომის ოქმი”** (педсовета заседания протокол), — **რომელიც იმ შთაბეჭდილების წიგნს ჰგავს** (который на ту впечатлений /отзывов/ кни-



გუ (похож), უნიჭო მხატვრის გამოფენაზე რომ დევს (на бездарного художника выставке что лежит) და გამვლელ-გამომვლელს ეხვეწებიან (и прохожих /туда-сюда/ умоляют), თუ ძმა ხარ (если брат есть /ты/), რამე ჩაგვიწერე შიგო (что-нибудь впиши нам внутрь /мол/).



სკოლაში როგორი ვარ? სკოლაში ჩემი ქცევის შესახებ არსებობს დოკუმენტი — “პედსაბჭოს სხდომის ოქმი”, — რომელიც იმ შთაბეჭდილების წიგნს ჰგავს, უნიჭო მხატვრის გამოფენაზე რომ დევს და გამვლელ-გამომვლელს ეხვეწებიან, თუ ძმა ხარ, რამე ჩაგვიწერე შიგო.

ეს დოკუმენტი (этот документ), დაახლოებით (приблизительно), ასე გამოიყურება (так выглядит). სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს (деревни средней школы педагогического совета) 1940 წლის (тысяча девятьсот сорокового года) 18 მარტის (восемнадцатого марта) სხდომის ოქმი (заседания протокол). სხდომას ესწრებოდა (на заседании присутствовали): ყველა მასწავლებელი (все учителя). მოისმინეს (слушали): მეექვსე კლასის დამრიგებლის მოხსენება (шестого класса руководителя доклад) ამავე კლასის მოსწავლის (этого же класса ученика) ზურაბ ვაშალომიძის საქციელის შესახებ (Зураба Вашаломидзе про поведение; შესახებ — про, о). აზრი გამოთქვეს (мнение высказали): მათემატიკის მასწავლებელმა (математики учитель):



ეს დოკუმენტი, დაახლოებით, ასე გამოიყურება. სოფლის საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1940 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი. სხდომას ესწრებოდა: ყველა მასწავლებელი. მოისმინეს: მეექვსე კლასის დამრიგებლის მოხსენება ამავე კლასის მოსწავლის ზურაბ ვაშალომიძის საქციელის შესახებ. აზრი გამოთქვეს: მათემატიკის მასწავლებელმა:

— ვაშალომიძე ჩემთვის (Вашаломидзе для меня) ასუცნობიანი განტოლებაა (уравнение со ста неизвестными /есть/) და სანამ მასში (и пока в нем) ადამიანს ამოვიცნობ (человека вычислю), ალბათ, სულს ამომხდის (наверное, душу вымотает /он мне/).

ფიზიკის მასწავლებელმა (физики учитель) ჩემს პიროვნებაზე (на мою личность) უშუალო დაკვირვებით (непосредственным наблюдением) ჩამოაყალიბა ფიზიკის ახალი (сформулировал физики новый), ურყევი კანონი (незыблемый закон):

— არ არსებობს ბუნებაში ენერჯია (не существует в природе энергия; ბუნება — природа), რომელსაც შეეძლოს ვაშალომიძის (которая может Вашаломидзе) მოძრაობაში მოყვანა (в движение привести /приведение/). ეს არის სითხეში ჩაშვებული სხეული (это есть в жидкость спущенное тело), რომელზედაც არ მოქმედებს (на которое не действует) არავითარი ამომგდები ძალა (никакая выталкивающая сила).



— ვაშალომიძე ჩემთვის ასუცნობიანი განტოლებაა და სანამ მასში ადამიანს ამოვიცნობ, ალბათ,

სულს ამომხდის. ფიზიკის მასწავლებელმა ჩემს პიროვნებაზე უშუალო დაკვირვებით ჩამოაყალიბა ფიზიკის ახალი, ურყევი კანონი:

— არ არსებობს ბუნებაში ენერგია, რომელსაც შეეძლოს ვაშალომიძის მოძრაობაში მოყვანა. ეს არის სითხეში ჩაშვებული სხეული, რომელზედაც არ მოქმედებს არავითარი ამომგდები ძალა.

**ქიმიის მასწავლებელმა (химии учитель):**

— არავითარი რეაქცია (никакой реакции), ზის მთელი დღე და მშლის (сидит весь день и стирает /меня/; წაშლა — стирать резинкой, удалять). იგი რაღაც განსაკუთრებული ლაკმუსია (он какой-то особенный лакмус /есть/), რომელზედაც არაფერი არ მოქმედებს (на который ничего не действует), იგი არასოდეს არ წითლდება (он никогда не краснеет).



ქიმიის მასწავლებელმა:

— არავითარი რეაქცია, ზის მთელი დღე და მშლის. იგი რაღაც განსაკუთრებული ლაკმუსია, რომელზედაც არაფერი არ მოქმედებს, იგი არასოდეს არ წითლდება.

**რუსულის მასწავლებელმა (русского учитель):**

— პო მოემუ ონ პროსტო იდიოტ (по-моему, он просто идиот).

**გეოგრაფიის მასწავლებელმა (географии учитель):**

— ვაშალომიძეს აქვს ერთობ რელიეფური ცოდნა (Вашаломидзе имеет весьма рельефное знание).

იგი ან შექანებულია, ან გამოფიტული (он или странный /есть/, или истощенный). ვფიქრობ, მას სჭირდება (думаю /я/, ему нужен) ზომიერი სარტყელი (умеренный пояс), რომ სიგრძედი და განედი (чтоб долготу и ширину) ერთი ჰქონდეს (одну имел бы /он/).



რუსულის მასწავლებელმა:

— პო მოემუ ონ პროსტო იდიოტ.

გეოგრაფიის მასწავლებელმა:

— ვაშალომიძეს აქვს ერთობ რელიეფური ცოდნა. იგი ან შექანებულია, ან გამოფიტული. ვფიქრობ, მას სჭირდება ზომიერი სარტყელი, რომ სიგრძედი და განედი ერთი ჰქონდეს.

ისტორიის მასწავლებელმა (истории учитель):

— იგი უფრო ქვის ხანის ადამიანია (он более каменной поры человек), ვიდრე მეოცე საუკუნის (чем двадцатого века) ცივილიზებული მოქალაქე (цивилизованный гражданин). ძნელია დავათარილოთ მომენტი (трудно /есть/ датировать момент), როდესაც იგი გაკვეთილზე (когда он на уроке) წყნარად ზის (спокойно сидит). არავითარი პროგრესი (никакого прогресса), იგი არცხვენს თავის კლასს (он стыдит свой класс).

სკოლის დარაჯმა (школы сторож):

— რას ერჩით მაგ ბაღანას (что хотите от этого дитяти)? თუ ასე შტერია (если /он/ такой глупый /есть/), რაფერ გადადის კლასიდან კლასში (как переходит из класса в класс)?

**სასწავლო ნაწილის გამგემ** (учебной части заведующий):

— შენ არავინ გეკითხება (тебя никто /не/ спрашивает), შენი საქმეა (твое дело /есть/) დილას ადრე ადგე (утром рано встать) და ზარი დარეკო (и звонок позвонить).



ისტორიის მასწავლებელმა:

— იგი უფრო ქვის ხანის ადამიანია, ვიდრე მეოცე საუკუნის ცივილიზებული მოქალაქე. ძნელია დავათარილოთ მომენტი, როდესაც იგი გაკვეთილზე წყნარად ზის. არავითარი პროგრესი, იგი არცხვენს თავის კლასს.

სკოლის დარაჯმა:

— რას ერჩით მაგ ბაღანას, თუ ასე შტერია, რაფერ გადადის კლასიდან კლასში?

სასწავლო ნაწილის გამგემ:

— შენ არავინ გეკითხება, შენი საქმეა დილას ადრე ადგე და ზარი დარეკო.

**ქართულის მასწავლებელმა** (грузинского учитель) (ჩემი ახლო ნათესავია) (мой близкий родственник /есть/):

— რა გააჭირეთ საქმე (что усложнили дело)!? ბოლოს და ბოლოს (в конце концов), დაახრჩვეთ ბარემ ბავშვი და ესაა... (задушите заодно ребенка и это...) რომელი გყავთ მაგაზე კარგი (кого имеете /вы/ этого /ребенка/ лучше)? არც ისეა საქმე (не так уж /обстоит/ дело), დირექტორის შვილს (директора сын) რომ ყველაფერში ხუთეზი აქვს (что во всем пя-

ტერი იმეოტ). იმაზე შტერი ბავშვი (того глупее ребенок) მე ჯერ არ შემხვედრია (мне еще не встречался), ბუსავით ზის გაკვეთილზე (как сыч сидит на уроке; ბუ — сова, сыч).



ქართულის მასწავლებელმა (ჩემი ახლო ნათესავია):

— რა გააჭირეთ საქმე!? ბოლოს და ბოლოს, დაახრჩვეთ ბარემ ბავშვი და ესაა... რომელი გყავთ მაგაზე კარგი? არც ისეა საქმე, დირექტორის შვილს რომ ყველაფერში ხუთები აქვს. იმაზე შტერი ბავშვი მე ჯერ არ შემხვედრია, ბუსავით ზის გაკვეთილზე.

ფიზკულტურის მასწავლებელმა (физкультуры учитель):

— რატომ უწერ მერე ხუთს (почему пишешь /ему/ тогда пятерку)?!

ქართულის მასწავლებელმა (грузинского учитель):

— ნუ დაუწერ, თუ ბიჭი ხარ (не пиши /ему/, если парень есть /ты/; *т. е. попробуй-ка не напиши, если такой храбрый!*)!

სასწავლო ნაწილმა (учебная часть):

— გაჩუმდით ორივე (замолчите оба)! შენ რას გვეტყვი, ვაშალომიძე (ты что скажешь /нам/, Вашаломидзе)?

ვაშალომიძე (Вашаломидзе):

— მართალს ამბობს ქართულის მასწავლებელი (правду говорит грузинского учитель)!

სასწავლო ნაწილი (учебная часть):

— მაგას არავინ გეკითხება შენ (этого никто /не/ спрашивает тебя)! საერთოდ რას გვეტყვი (вообще что скажешь /нам/)?

ვაშალომიძე (Вашаломидзе):

— საერთოდ (вообще), ახლა მაპატიეთ (сейчас простите /меня/) და მერე გამოვსწორდები (и потом исправлюсь)!



ფიზკულტურის მასწავლებელმა:

— რატომ უწერ მერე ხუთს?!

ქართულის მასწავლებელმა:

— ნუ დაუწერ, თუ ბიჭი ხარ!

სასწავლო ნაწილმა:

— გაჩუმდით ორივე! შენ რას გვეტყვი, ვაშალომიძე!?

ვაშალომიძე:

— მართაღს ამბობს ქართულის მასწავლებელი! სასწავლო ნაწილი:

— მაგას არავინ გეკითხება შენ! საერთოდ რას გვეტყვი?

ვაშალომიძე:

— საერთოდ, ახლა მაპატიეთ და მერე გამოვსწორდები!

ამის მსმენელს (это слушающему) მე დიდხანს (мне долгое время) ეჭვიც კი მეპარებოდა (сомнение даже закрадывалось /мне/) ჩემს ჯანმრთელობასა და ნორმალურობაში (в моем здоровье и нормальности), მაგრამ ერთმა შემთხვევამ (но один случай) გამიფანტა ეჭვები (рассеял /мне/ сомнения). საქმე იმაშია (дело

в том /есть/), რომ ერთი კვირის განმვალობაში (что одной недели в течение) სახლში ჯდომამ მომიწია (дома сидение пришлось /мне/), ყანა მქონდა გასათოხნი (ниву /поле/ имел /я/ вспаханной /быть/), ესე იგი (то есть), სკოლა უნდა გამეცდინა (школу должен был пропустить /я/). გაცდენისათვის რომ (из-за пропуска чтобы) სკოლიდან არ გავერიცხე (из школы не отчислили /меня/), საჭირო იყო (нужен был) ექიმის მოწმობა (врача документ /справка/).



ამის მსმენელს მე დიდხანს ეჭვიც კი მეპარებოდა ჩემს ჯანმრთელობასა და ნორმალურობაში, მაგრამ ერთმა შემთხვევამ გამიფანტა ეჭვები. საქმე იმაშია, რომ ერთი კვირის განმავლობაში სახლში ჯდომამ მომიწია, ყანა მქონდა გასათოხნი, ესე იგი, სკოლა უნდა გამეცდინა. გაცდენისათვის რომ სკოლიდან არ გავერიცხეთ, საჭირო იყო ექიმის მოწმობა.

ჩემს სოფელში (в моей деревне) ჯანმრთელებს (здоровым) ავადმყოფობის მოწმობას (болезни документ) იმ ხანებში (в те поры), საუბედუროდ (к несчастью), არ აძლევდნენ (не давали). საჭირო შეიქნა (нужным стало) ჩემი ერთი საათით (меня одним часом) ლოგინში ჩაწვენა (в кровать укладывание), ექიმის მოყვანა და ცნობის აღება (врача приведение и справки взятие). ამისათვის დილიდან მაშიმშილეს (для этого с утра голодать /заставили меня/), ავადმყოფის ფერი რომ დამდებოდა (больного цвет чтоб положился /на меня/), თავი პირსახოცით გამიკრეს (голову поло-



тенцем обвязали /мне/) და ბებია ექიმის მოსაყვანად წავიდა (и бабушка врача для приведения пошла).



ჩემს სოფელში ჯანმრთელებს ავადმყოფობის მოწმობას იმ ხანებში, საუბედუროდ, არ აძლევდნენ. საჭირო შეიქნა ჩემი ერთი საათით ლოგინში ჩაწვენა, ექიმის მოყვანა და ცნობის აღება. ამისათვის დილიდან მაშიმშილეს, ავადმყოფის ფერი რომ დამდებოდა, თავი პირსახოცით გამიკრეს და ბებია ექიმის მოსაყვანად წავიდა.

ნახევარ საათში (в полчаса) ექიმმა ეზოში ცხენი შემოაჯირითა (врач во двор лошадь прискакал).

— რა მოგივიდა, ბიჭო (что /на тебя/ нашло, мальчик)? — მკითხა ექიმმა (спросил /меня/ врач) და ლოგინზე ჩამომიჯდა (и на кровать присел /ко мне/).

— ვკვდები, ექიმო (умираю, доктор)!

— რა გტკივა (что болит /у тебя/)?

მართალი გითხრათ (правду сказать /вам/), ასეთ კითხვას არ ველოდი (такого вопроса не ожидал /я/) და შეშინებულმა ბებიას გადავხედე (и испуганный на бабушку взглянул).



ნახევარ საათში ექიმმა ეზოში ცხენი შემოაჯირითა.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — მკითხა ექიმმა და ლოგინზე ჩამომიჯდა.

— ვკვდები, ექიმო!

— რა გტკივა?

მართალი გითხრათ, ასეთ კითხვას არ ველოდი და შეშინებულმა ბებიას გადავხედე.

*Здесь только небольшой фрагмент книги. Полный  
текст книги Вы можете приобрести на сайте  
<http://www.franklang.ru> в разделе «Тексты на  
грузинском языке, адаптированные по методу чтения  
Ильи Франка»*